# მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 06/33

ქ.თბილისი 18 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N106 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ გულორდავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „Orient-Logic LTD" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით მომსახურების შესყიდვა (CPV:50310000), კერძოდ პრინტერის გაწმენდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების ღირებულება შეადგენს 20,00 (ოცი ლარი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი,ბ. ხმელნიცკის ქ. საავიაციო ქარხნის IV დასახლება.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- პრინტერის გაწმენდა

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის დირექტორი თ. გულორდავა

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br>სსიპ თბილისის №106 საჯარო სკოლა<br>მისამართი: თბილისი, ბ. ხმელნიცკის 183<br>საავიაციო ქარხნის მ/რ დასახლება<br>ტელ: 270 71 47 270 35 08<br>სს „ლიბერთი ბანკი"-ს სამგორის ფ/ც<br>ბანკის კოდი 220101402<br>ა/ნ GE92LB0121143857793000 GEL<br>საიდ. კოდი 208145318<br>დირექტორი თენგიზ გულორდავა | მიმწოდებელი:<br>შპს„Orient-Logic LTD"<br>ს/კ 202052054<br>მის.: ა. ბელიაშვილის ქ. 8<br>ტელ.: 2541818<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ბ „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE03LB0113153311137000<br>კომერციული დირექტორი ალან სანაკოევი<br>(ხელმოწერა) |

მიღება – ჩაბარების აქტი №40

20 მაისი 2016წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლა ( შემდგომში – „შემსყიდველი") მისი დირექტორი თენგიზ გულორდავა სახით და მეორე მხრივ, მომწოდებელი შპს „Orient-Logic LTD" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, ვადასტურებთ, რომ მომწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო ჩვენს შორის 2016 წლის 18 მაისს დადებული ხელშეკრულებით №04/33 გათვალისწინებული მომსახურეობა, კერძოდ პრინტერის გაწმენდა საერთო ღირებულებით 20,00 (ოცი ლარი, 00 თეთრი) ლარს.

**შემსყიდველი:**

სსიპ თბილისის №106 საჯარო სკოლა
მისამართი: თბილისი, ბ. ხმელნიცკის 183
საავიაციო ქარხნის მე-4 დასახლება
ტელ: 270 71 47   270 35 06
სს „ლიბერთი ბანკი"-ს სამგორის ს/ც
ბანკის კოდი 220101402
ა/ნ GE92LB0121143857793000 GEL
საიდ. კოდი 208145318
დირექტორი: თენგიზ გულორდავა

**მომწოდებელი:**

შპს „Orient-Logic LTD"
ს/კ 202052054
მის.: ა. ბელიაშვილის ქ. 8
ტელ.: 2541818

საბანკო რეკვიზიტები:
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE33LB0113153311137000

კომერციული დირექტორი   ალან სანაკოევი